ფასი ყველგან 10 კაპ.

იუმორისტული გაზეთი

შუამავალი

წელიწადი პირველი.

№ 5 კვირა, 12 აგვისტო, 1907 წ. № 5

სენსაცია:—**იაკობ ფანცხავას ქუთაისში მოშივებია და ფოთს ათასი მანათი მიუშველებია! —ქერელის სადგურის მოსამსახურეებს გადასაზიდ ბარგზე ახალი ბაჟი შემოულიათ!—საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე თავმჯდომარეთ „დაშნაკცაკანი“ აურჩევიათ!— ერთ დღეს ფოთის გოროდოვოებს 400 ბატი და 300 იხვი მოუკმთ და ორი ძროხა სატუსალოში ჩაუსვამთ!**

კარიკატურებიანი, იუმორისტიული, გაზეთი „შუამავალი“ გამოდის ყოველ კვირა დღეს. ფასი წლიურათ—5 მან., ნახევარი წლით—3 მან., ერთი თვით—50 კ., ცალკე ნომერი ყველგან 10 კ. ადრესი: თფილისი, ამხანაგობა „შრომის“ სტამბა. Тифлисъ, Типографія Т-ва „Трудъ“ для „Шуамавали“.

მამები:—პატივი და დიდება მობრძანებასა თქვენსა!.. მობრძანდით! მობრძანდით!.. ყველაფერი მზათ არის! აჰა თქვენი მშვენიერი თვალებით ნახეთ რა ნიადაგი მოგიმზადეთ!... იმედი გვაქვს ღირსეულათ დაკვაჯილდოებთ ასეთი მოღვაწეობისათვის.

ხოლერა
და
შავი ჭირი.

უზენაეს შემოქმედმა
აღარ გაიტეხა პირი:
საზაფხულოთ მოგვივლინა
ხოლერა და შავი ჭირი.
ხუთმეტჯერ შემოირბინა
დედა-მიწამ მზისა არე,
რაც ხოლერა არ უნახავს
და შესწუხდა ჩვენი მხარე.
იმოდენა სიბინძურემ
მოიყარა სოფლათ თავი,
რომ საბრალო გლეხკაცობას
ცოცხლათ შემოაძრეს ტყავი.
საჭიროა გასაწმენდათ
მედგარი და მძლავრი ხელი,
შავი ჭირი და ხოლერა
მისთვის გახდა სანატრელი.
მაგრამ, როგორც გამოირკვა
ის არ სდევნის ბინძურ გულებს
და იქნება კიდეც არგოს
რეაქციის მოციქულებს.
უწინარეს, მოსულებმა
აიარეს ვოლგის პირი
და ვისაც კი ჩაუსახლდენ
ხარკი დასდვეს ფრიად ძვირი.
სიკვდილი და სასაფლაო
გაიაფდა როგორც ჩირი

ველარავის ველარ შველის
ვერც პარტია, ვერც კავშირი.
ღარიბების უბანს მტრობენ
სანაგვეში უძევთ ცხვირი,
სისუფთავე ეჯავრებათ
აი რაა გასაკვირი!
დიდხანს დარჩენ სამარაში
და მოაპყრეს ჩვენკენ თვალი!..
იმათაც სძულთ კერძოობა,
მათაც ესმით სამართალი!
გამოფრინდენ თფილისისკენ
ფეხ-მარდნი და ქარზე მალი
ბედაურებს ფეხზე აკრავთ
ალმასი და ოქროს ნალი.
ნავთლუღისა სასაკლაოს
სიბინძურით არ ყავს ცალი
„უპრავაც“ იქ გაეგება
აისრულოს თვისი ვალი.
ძვირფასს სტუმრებს ნაგვის გოდრით
მიაგება საყნოსავი
უთვალავი მძორის კალო
და გამხმარი ცხენის თავი.
დაკვეთილი მყრალი სისხლი,
შმორიანი ხარის ტყავი,
და ამათზე უმჯობესი
მრავალი სხვა სანახავი.
აიარ-ჩამოიარეს
ეს უბანი კიდით-კიდათ
და ნახული სიბინძურე
მოიწონეს ერთობ დიდათ.
შემდეგ ქალაქს გამოუყვენ
ხმოსნები და მათი „თავი“
ქუჩები გულს უამებენ
(მუხლებამდე სძევს ნაგავი)
ერევანის მოედანზე
მოსულებმა იგრძნეს წყენა,
შავ-ჭირსაც და ხოლერასაც
ჰაერი „თხლათ“ მოეჩვენა
შავ-ჭირს ენა ჩაუვარდა,
სიტყვა ველარ მოაბრუნა.
და ხოლერაც გულის ძგერამ
დააჭკნო და მოადუნა.
სწრაფლ ბრძანება გამოიცა!..
დვორნიკებმა იწყეს დენა
და სტუმრების გასართობათ
მტვრისა ბუქიააყენა.
რა ეს ნახა, შავმა-ჭირმა
მყისვე ამოიდგა ენა,
ქალაქის თავს შესაფერი
მადლობელი მოახსენა.
შემდეგ ჩასხდენ ტრამვაიში:
ინახულეს ვერის ბოლო
მოუწონეს გემნაზიას
ღელის პირში ნაგვის კალო.
დიდუბეში არ შესულან
სხვანაირი იდგა სუნი
თუმცა უყვართ მალაკნების
ცხენები და დროგ-ფურგუნი.
ხარფუხი და ჩუღურეთი
მოიწონეს მეტის მეტათ,
სანიტარებს ქება უთხრეს:
ფულს არ ფლანგავს დასახვეტათ.
ორთა ჭალის ბაღებიდან
ისევ ბაქოს მიაშურეს;
თუმცა ჩვენი მასპინძლებიც
აქეს და არ მოიმდურეს.
სანიტარებს უთავაზეს
თითოს თითო მკვდარი კატა;
„გალავას“ კი აღარ ვიცი
ზედმეტი რა მიუმატა.

ეშმაკი.

ფოთის ამბები.

ადგილობრივმა პოლიციამ *) გადასწყვიტა, მოსპოს ფოთში „ანარქია“, რისთვისაც თვე-ნახევარია მუდამ დღე ატუსაღებს 5-დან — 10-მდე კაცს და ამწყვდევს ადგილობრივ ციხეში. ატუსაღებს კაცს ყველაფრისთვის, ხოლო ყველას ერთად „სახელმწიფო დანაშაულობისათვის“. ზოგს ასახლებს და ზოგს ციხეში რამოდენიმე თვით აბინავებს. მაგალითები?.. ინებეთ: 1) ბარნაბა როყუა დაიჭირეს ცულით მხარზე დილა-ადრიან ხეების „სატერორო“ ტყეში მიმავალი და რადგანაც „ტერორისტობა“ თურმე დანაშაულობა ყოფილა, ამიტომ გადაასახლეს ვიატკის გუბერნიაში; როყუა შუამდგომლობს „გამანთავისუფლეთ და ხეების მაგიერ კაცებზე დავიწყებ ტერორისტობასო“, მარა მთავრობამ უყურადღებოთ დასტოვა მისი სამართლიანი შუამდგომლობა; იაგორა აფხაზავა ფოთში ჩამოსულა დოქტორ ტერ ნიკოგოსოვთან საექიმოთ. ნაცვლად ამისა მეორე უბნის გოროდოვოები შეხვედრიან გზაზე და ციხეში მიუცილებიათ. განა ციხე ურიგო საავათმყოფოა? 3 ივლიანე კილაძეს შეხვდენ იალონზე სამუშაოთ მიმავალს, 20-მდე თოფი დაახალეს, მაგრამ რადგან არც ერთი ტყვია არ მოხვედრია (კილაძის საბედნიეროთ ის სტრაჟნიკებს თურმე ყაჩაღი ეგონათ და თოფებს შიშით თვალდახუჭული ისროდენ!). დაჭერის შემდეგ პოლიციაში ძალზე მიბეგვეს და მხოლოდ ერთი თვის ციხე შესთავაზეს; 4) იაკობ გოგიჩაიშვილი ჩამოსულა ფოთში კამეჩის სასყიდლათ, ამიტომ დაატუსაღეს და ვიატკაში ასახლებენ*); 5) მელიტონ წითლიძეს, იმიტომ, რომ თეთრი ჩოხა ჰქონია და პოლიციელებს სადღაც ცხენის ქურდების დანიშნული თეთრი ჩოხა უნახავთ და წითლიძის ჩოხაზე მიუმზგავსებიათ; მეტი ცემით თავში ტვინი ჩაუმთხვლიეს და მუცელში ნაწლევები და ფილტვები. 6) რემა ბერიძეს მარტო ცალი მხარი მოაცალა სტრაჟნიკმა ლევანში ხურციამ, იმიტომ, რომ ბერიძეს მოწიწებით სალამი არ მიეცა სტრაჟნიკისთვის. ოპერაციის შემდეგ ბერიძე საექიმოთ ციხეში „შეაბრძანეს“; 7) პავლე აფხაზავას მეტი სტუმართ მოყვარეობით, თუ შიშით, ვილაც ორი მგზავრი თოფიანი კაცებისათვის ვახშამი მიურთმია. ეს გაიგეს პოლიციელებმა და განრისხდენ „როგორ თუ მგზავრებს აჭმევს ვახშამს, როცა ჩვენ აქა ვართ მშიერებიო“ და თოფის კონდახებით ოპერაცია გაუკეთეს დოსტაქარი კუხალიშვილის მეთაურობით. შედეგი საუცხოვო დარჩა... მარჯვენა „კელევერი“ და ხელი მოსტეხეს. ამის შემდეგ დასასვენებლათ სამი თვის ციხე მიუსაჯეს; 8) ალექსი ლაშხია პოეზდით მიდიოდა ფოთიდან. მისი სახე სტრაჟნიკებს არ მოეწონათ და ამისთვის რკინის გზის ბილეთი მოსთხოვეს (რასაკვირველია მიზეზის ასაყოლებლათ). საუბედუროთ ლაშხიას ბილეთი აღმოაჩნდა და მეტი, რომ ვერაფერი მოახერხეს უფ. სტრაჟნიკებმა, ტერორისტობა დააბრალეს და დაატუსაღეს. საწყალი ლაშხია!.. ნეიგებაუერის ბრძანების პირნათლათ ასრულებამ სამგზავრო ბილეთების ყიდვის შესახებ ამოიშავა ის!.. რომ ეს ბრძანება არ ყოფილიყო, მაშინ უბილეთოთ წავიდოდა და თუ დაიჭერდენ ამისთვის გადაახდევინებდენ უდიდეს სასჯელათ მხოლოდ „დვოინოის“, ეხლა კი ვიატკის გუბერნიაში უნდა წავიდეს ბილეთის ყიდვისთვის; 9) ალიოშა თავართქილაძე დაატუსაღეს და ასახლებენ ვიატკაში „ივერია“-ში სადილის ჭამისთვის; ფიცს სდებს გამანთავისუფლეთ და სასტუმროების წინ გზათ გავლილს ვერ დამინახავთო, მაგრამ ვინ დაუჯერებს? 10) ესე დობორჯგინიძე დაატუსაღეს და ეტაპით მიქიაშვილს უგზავნიან, აბრალებენ ტერორისტობას, რადგანაც ვილაც ქალი შეუყვარებია და ცოლათ წაუყვანია. ამბობენ მიქიაშვილი ჯუმათის მონასტერში გაგზავნის დობორჯგინიძეს ცოდვების მოსანანებლათ; გზაში გაქცევას განიზრახავს და სტრაჟნიკებს შემოაკვდებათო, მაგრამ ის ხომ მომავლის საქმეა!

---

*) ბოქ. კუხალიშვილის მეთაურობით.

*) ახი კია მისი გადასახლება! რისთვის დაარღვია ადმინისტრაციის „ზაკონები“, ფული თუ ქონდა სხვაზე მოეხმარა? კამეჩი-კი უნდა მოეპარა, ამის წინააღმდეგი არავინ იქნებოდა!..

ავტორი.

საჯაყი საქმე მოუვიდა ორ უფროს გოროდოვოებს: ჭანტურიას *) და ლიპარტიას. ამათ გადაუწყვეტიათ თავიანთ გულში ჯვრების და ალმატების მიღება. მაგრამ რადგანაც ამისთვის „ომში“ მონაწილეობა და იქ ჭრილობის მიღებაა, საჭირო, ამიტომ მათვე გამოუგონიათ და მოუწყვიათ შესაფერი ომი. შევარდნილან დუქანში, აუტეხიათ აურზაური და ბოლოს იმ იმედით, რომ ხალხს დავაბრალებთო, ლიპარტიას განვგებ ჭანტურიასთვის თითზე რევოლვერი უსვრია და დაუშავებია.

იშოვეს სათქმელი ამით, მიაშურეს პოლიციას, გამოიწვიეს ჯარი და კინაღამ სისხლის ღვრა დატრიალდა.

როცა ყველამ გაიგო ნამდვილი ამბავი და ყველაფერი გამოირკვა, პოლიცმეისტერი განრისხებულა გოროდოვოების ამგვარ უხერხულ და აშკარა პრავაკატორული საქციელით და ორივე დაუთხოვია სამსახურიდან... დასჯილნი აღთქმას სდებენ: შემდეგში ასე სულელურათ აღარ მოვიქცევითო, მაგრამ სალაყაიას სტოლიპინისაგან ტელეგრამით უარი მოსვლია იმათ უკანვე მიღებაზე, რადგანაც სათათბიროს არჩევნები მოახლოვებულია და თუ ამგვარ „უკანონობას“ ყურადღებას არ მივაქცევთ, ხალხი გვერდს აგვიქცევს და მოსალოდნელია ნიკოლაძეს არ მისცენ ხმა, რადგანაც ის არსებული პოლიციის დიდი დამცველიაო.

—

მაგრამ თუ ადამიანებს ცუდი დღე ადგიათ ამ დალოცვილ ფოთში, უკეთესს არც ბატები განიცდიან. დღემდე მარტო კაცებს სთხოვდენ პასპორტებს და სდევნიდენ უმუშევართ, ახლა ბატებსაც აღარ უშვებენ ქუჩაში უპასპორტოთ. მაგრამ რადგანაც ციხეში ტევა არ არის და ახლის აშენებაც შეუძლებელია მესამე დუმის დაუკანონებლათ, ამიტომ საწყალ ბატებს სადაც მოასწრებენ, ლომსავით ფაფარ აყრილი და გულადი გოროდოვოები, თავიანთი ბასრი ხმლების ერთი შემოკვრით აცლიან თავს. თავებს ინახავენ, ხოლო მოკლული ბატების ცხედარი ხან სახლში მიაქვთ, ხან ბაზარში. ერთხელ ქველმოქმედებით გატაცებულმა გოროდოვოებმა ციხეში ტუსაღებსაც კი შესთავაზეს ოთხი ცალი... ტუსაღებს თურმე უკანვე მიუგდიათ დახოცილი ბატები, რითაც გოროდოვოები ძალზე გაჯავრებულან, მაგრამ მოგეხსენებათ რუსეთის ძირითადი კანონების ძალით ყველას აქვს უფლება, არ ჭამოს საჭმელი და ამიტომ როგორც იქნა გადარჩენ ჯერჩი ტუსაღები უპასპორტო ბატების ბედს...

ამგვარი სასტიკი რეპრესიებით შევიწროებულ ბატებს, პეტერბურგში ქალაქის საქმეებზე წასული ნიკოლაძისთვის ტელეგრამით თხოვნა გაუგზავნიათ, რომ ის შეეკითხოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფოთის პოლიციის უკანონო მოქმედებაზე და როგორც თვით ბატები ირწმუნებიან, მოსალოდნელია დიდი შედეგი მოჰყვეს მათ შეკითხვას.

იმედია, პეტერბურგის ადმინისტრაცია გულგრილათ არ მოეკიდება თავის მონათესავეთა ამგვარ დარბევა-აწიოკებას.

კრეისერი.

*) ამ ჭანტურიას სახელათ გიორგი ჰქვიან, სიმონი არ ეგონოს ვინმეს, რადგანაც ეს უკანასკნელი მართალია „დესედნიკათ“ მსახურებდა, მარა „სამსახურს“ წვრილ-წვრილათ ასრულებდა და რადგანაც პოლიცმეისტ. სალაყაიას ამგვარი წვრილი ქურდები საძაგლათ ეჯავრება, სიმონიც ფოთის ციხეში ჩაამწყვდევინა, სადაც შეუძლიათ ნათესავებმა და ნაცნობებმა ინახულონ. ავტ.

თფილისის სადგურზე

ᲯᲘᲑᲒᲘᲠᲔᲑᲘ—ერთი ამ წვერცამეტა ხუცესმა და ტეტიამ სადგურში შეიტანონ ბარგი და აცოცება მერე ჩვენი საქმე იყოს.

სადგურზე.

ჩვენი სოფლის ტეტიები
და ხუცები წვერ-ცამეტა,
ჯიბგირების ოინ-ხრიკებს
როდის ისწავლიან ნეტა?!

ამ წინაზე, ერთი გლეხი
და სოფლელი ხამი ღვდელი,
თფილის ქალაქს ჩამოვიდენ
ბარგი ჰქონდათ საყიდელი.
დაჰყვეს ორი დღე და ღამე,
შეიძინეს რაც-კი სურდათ,
მარტო ბილეთების ფასი
ორი გროში შერჩათ ხურდათ.
მესამე დღეს აიბარგენ
ხურჯინებით დატვირთული,
იჩქარიან ნავაჭრებით
გაუხარონ ცოლ-შვილს გული.
გლეხს ბავშვები გზაზე უცდის,
მოელიან დანაპირებს;
„ფოფოდიაც“ გულ-მოსული
ხუცესის გზას გადაჰყურებს.
მეზობლური მუსაიფით
სადგურისკენ მივლენ ნელა,
სწორეთ შუადღემ მოატანა
მტვერიც დგას და ძლიერ ცხელა.
ვაგზალში და ვაგზლის ახლო
ხალხი ესვრის ათას-გვარი
თათარი და ქრისტიანი
მშიერი და გამამძღარი.
ყველა ჩქარობს და ისწრაფის
ოთთქლ-მავალი ძალზე ქშინავს;
ფრთაშესხმული ჟანდარმთ-ჯგუფი
ისე დადის თითქო ფრინავს.
იქვე ვიწრო ფანჯარასთან
დარაზმულა მთელი ჯარი
და სასწაულს მოელიან:
რომ გაიღოს კასის კარი!
ჩვენი ხამი ნაცნობები
გზაში დარჩენ კარგა ხანი
და იმ დროზე შემოვიდენ
აღარ იყო გასაქანი.
სკამის ახლოს ხურჯინები
მიალაგეს ერთათ, წყებათ,
და კასისკენ გაეშურენ
ბილეთების ასაღებათ.
ახლა უნდა მოგახსენოთ
სადგურების მორთულობა;
თუნდ იწყინონ ჯიბგირებმა
და შემწამონ ორგულობა.
თითო კაცზე თითო მოდის
ქურდ-ბაცაცა მაკრატელი
და თუ ხამათ მიგიჩნიეს
ჯიბისაკენ მიაქვთ ხელი.
არ დაგზოგავს არაფრისთვის
თუ ბეჩავი ვინმე გნახა
გაგცლის სულით ხორცამდისინ
და დააღე შემდეგ ხახა!!!

თფილისის სადგურზე

ჯიბგირები—მშვიდობით! ჩვენი და თქვენი ბარგის ნახვამდე არაფერი გეტკინოთ

ეს იციან სოფლელებმა,
მაგრამ ცოდნას ვინ რას აქნევს
და თავზე თუ არ დაარტყი
ისე ყურებს არ დააქნევს.
ახლაც დიდი ხურჯინები
მიატოვეს ვაგზლის ყურეს
და ნერწყვები მოედინა
ჯიბგირებს, მათ შემომყურეს.
წამოიგდეს ნაცად ბეჭზე
ხურჯინების მძიმე ცალი
და ვაგზლიდან მიიმალენ...
დაიკარგა მათი კვალი!!!
ოციოდე წუთის შემდეგ
თავის საქმეს მორჩა ღვდელი
ბარგისაკენ გაეშურა
გაწუწული ოფლით სველი.
მიიჩქარის გამალებით
თითქო გულმა უგრძნო ჭირი,
თვალთა ცრემლი მოსდენია
დაღრეჯია ბედკრულს პირი.
აღარ დახვდა ძველ ალაგას
აღარც კვერთხი არც ხურჯინი...
საწყალს გული შეუწუხდა
დაუბნელდა თვალთა ჩინი.
ხუცესს მოჰყვა ნიკოლოზაც
და შეიქნა დიდი მოთქმა
მე არ ძალმიძს არც აწერა
არც დახატვა, არც გამოთქმა.
იგლოვეს და ივალალეს;
ცრემლიც ღვარეს დიდი ძალი,
მაგრამ ჯიბგირს სად სმენია
ზნეობა და სამართალი!

ეშმაკი.

ხაზეინთა შორის.

ბათუმელ მოიჯარადრეთა ოინები. ყოველ ფეხის გადადგმაზე საყვედურები გვესმის: ბათუმელ მუშებს მიეძინათ, ცხოვრებას ჩამოშორდენ, არა აქვთ კავშირები, პოლიტიკურ ცხოვრებას გვერდი აუხვიესო და სხვა. საკვირველია სწორეთ ასეთი საყვედური. თუ ბათუმელ მუშებზე საყვედურს ამბობენ, ეს მთელი ბათუმის ჩირქის მოცხებაა. დიდება შენ ღმერთო! მუშებს კავშირი არა აქვთო, განა ძარტო მუშებს უნდა ქონდეთ კავშირი? რატომ არ იკითხეს დალოცვილებმა, თუ მუშებს არა, ხაზეინებს ქონდათ თუ არა კავშირი? ჯერ გაეგოთ ნამდვილი ამბავი და მერე ეთქვათ საყვედური. თუ ბათუმელი მუშები დაგლახავდენ, სამაგიეროთ ხაზეინებმა „დაპრაწეს“ თვალები. მუშებს ხაზეინებმა აჯობეს. კავშირიც შეკრეს, წელშიაც გამაგრდენ და ისე ჩაიჭირეს თქვენი მოწონებული მუშები, რომ მგონია აწი მათ არავითარმა კავშირმა აღარ უშველოს. ავიღოთ თუ გინდ დურგალ-ხელოსნები. მათ არა აქვთ არც კავშირი, არც მჭადი და არც ლობიო. მოიჯარადრეებს კი კავშირიცა აქვთ და ყველაფერი. დურგალ-ხელოსნები არც კრებებს მართავენ, არც ხმას იღებენ და არც არაფერს. მოიჯარადრეები კრებებსაც მართავენ, ხმასაც იღებენ და მეტსაც შვრებიან. ამას წინათ ერთ თავიანთ კრებაზე მოიჯარადრეებმა შემდეგი მოთხოვნები შეიმუშავეს და ცხვირში ამოკრეს დურგალ-ხელოსნებს:

1) არც ერთ მუშას უფლება არა აქვს ისეთი სამუშაო გააკეთოს, რომელსაც მოიჯარადრე არ უბრძანებს, ე. ი. მუშა ვერ იმუშავებს ისე, უკეთუ მოიჯარადრიდან ნებართვა არ აიღო.

2) დაუყონებლივ მოიწვიონ რაჭიდან ახალი დურგლები და მათი მოსვლისთავე ძველები დაითხოვონ, იმ პირობით, რომ 24 საათის განმავლობაში გავიდენ ბათუმიდან, რათა არავითარი კავშირი არ იქონიონ ახალ ჩამოსულებთან.

3) დღიური ქირის მიცემა მოიჯარადრეების სურვილზე იყოს დამოკიდებული.

4) სასტიკათ აეკრძალოთ დურგლებს სამიკიტნოებში სადილის ჭამა. ერთხელ და უკანასკნელათ დაკანონდეს, რომ დურგლებმა უსათუოთ სამუშაო „დაზგაზე“ ჭამონ სადილი და ისიც ფეხზე დგომით.

5) სამუშაო დღე იმდენ ხანს უნდა გაგრძელდეს, სანამ ჩვენ თვითონ არ დავიღლებით მათი მუშაობის მზერით.

6) სასტიკათ აეკრძალოთ დურგლებს რაჭველების თონეებში თავის მოყრა პურის საჭმელათ.

7) ჯამაგირები წელიწადში ერთხელ მიეცეს, ისიც უკეთუ დურგალი აუცილებელ საჭიროების გამო სახლში უნდა წავიდეს. ხოლო ჯარიმების და ფულის შესანახ პროცენტების გამორიცხვით მოიჯარადრეთა ბიუროს სასარგებლოთ.

ზემო აღნიშნული პირობები დიდის აღტაცებით მიიღეს დურგლებმა და დეპუტაცია გაუგზავნეს მოიჯარადრეებს, უქვეშევრდომილეს გრძნობის გამოსაცხადებლათ.

მეთვალყურე დაკუნია.

კიდევ ნურიის ბაზრის ხაზეინთა შესახებ. როგორც წინა წერილში ვწერდი, ნურიის ბაზრის ვაჭარ-ხაზეინებმა შეიმუშავეს სავალდებულო მუხლები, რომლების წინააღმდეგ წასვლა არც ერთ ვაჭარს და არც ნოქრებს არ შეეძლოთ. ეს გადაწყვეტილება პირველათ დაარღვიეს ალექსი ხოშტარიას და რაჟდენა „კალბასნიკის“ ნოქრებმა (ამ აღებმა პირველათ გაატარეს ცხოვრებაში აღების დადგენილება და რა გასაკვირია, თუ მათი მიხედვით მათმა ნოქრებმაც პირველათ დაარღვიეს მათი გადაწყვეტილება). მათ უარი განაცხადეს, გამოერიცხათ მათთვის ადგილიდან დათხოვნის დროს ექვსი თვის ჯამაგირი. მოითხოვეს, ოთხი თვის გამოერიცხათ. ხაზეინებმა ქვა ააგდეს და თავი მიუშვირეს. ნოქრები სამედიატორო სამართალში გაიწვიეს. ორივე მხარემ წინდაწინ პირობა დასდო, დათანხმებულიყო მედიატორეთა გადაწყვეტილებას. მაგრამ დახეთ უბედურებას, მედიატორეებმა გადასწყვიტეს ექვსი თვის ჯამაგირის გამორიცხვა. აღები შეხტენ და უარი სთქვეს ამ გადაწყვეტილებაზე, ამიტომ ხელათ ბოიკოტი მიარტყეს. ჯერჯერობით ბოიკოტი მტკიცეთ ტარდება. აღები ცუდ გუნებაზე არიან და არ იციან, რა ქნან.

იგივე დაკუნია.

პროვინცია.

სოფ. ჭოპორტი. გაზეთ „ეკალის“ მეორე ნომერში დაიბეჭდა: სოლომონ ჯანგირაშვილმა უღალატა საზოგადოებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ადამის დროინდელ პირობებში მიწები გადააშავაო. მე სოლომონ ჯანგირაშვილი ვაუწყებ მთელ საზოგადოებას, რომ მეამ საქმეში არაფერი ღალატი არ მიმიძღვის. ღმერთმა დაიფაროს ყოველი ადამიანი იმ-გვარი კორესპოდენტისაგან, რომელმაც ჩემზე აღნიშნული ჭორები შეთხზა.

სოლომონ ჯანგირაშვილი

—

ერწო. ჩვენ სოფლებში ფედერალისტებს ხურჯინებით დააქვთ და ხალხს უკითხავენ პარტიის ლიდერ პავლე აკობიას უკანასკნელ თხზულებას ,,ს. დ. მოატყუა გლეხები''. ადგილობრივი ,,დეკანოზის'' აზრით ასეთი ღრმა შინაარსის თხზულება აღნიშნულ პარტიას ჯერ არ ჰქონია და შესაძლებელია ახალი ეპოქა შეჰქნას ფედერატიულ მწერლობაში

—

სურამი. ჩვენი ვაგზლის ქებათ-ქება
რომ არა ვსთქვათ არ იქნება
გამვლელი და გამომვლელი
სანეტარო სუნით ტკბება.
უცხო კაცმა რომ შეხედოს
გაკვირდება მათი ქცევით:
ცხვირთა ნესტო დაუხშვიათ
ზოგს პლატოკით, ზოგს თითებით.
ზილფოვანი ჰაერი სდგას
ვისთვის ტურფა, ვისთვის მყრალი,
და თუ ჭორებს დავუჯერეთ
მუატს უძევს მასში ბრალი.

ამასთანავე უნდა ვავუწყო პატივცემულ მკითხველებს ერთი ფრიად სამწუხარო ამბავი. სრულიად მოულოდნელათ და თანაც უდროვოთ გარდაიცვალა ათი წლის ჭაუბკი თუმცა სუსტი და უღონო „სახალხო სამკითხველო“. თუმცა ჭირსუფალი ცოტა ნაკლებათ დარჩა ნეტარხსენებულს, მაგრამ მაინც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ პანაშვიდს გადაიხდიან მუდამ დღე დილის ათ საათზე. დიდი ქუჩა, აფთიაქის პირდაპირ, კანდიტერ ლოტოსის გვერდით. დასაფლავების დღე ცალკე გამოცხადდება.

კან—ჭი.

—

მათხოჯი. მათხოჯისა მამა სამსონ
გვარათ არის შენგელია;
ერის კაცი არ გეგონოთ
ორჯელ ნაკურთხი მღვდელია.
სახეზე თუმც გეგონებათ
ავაზაკი, ან ფირალი,
მაგრამ არის ღვთისნიერი
ერთგვარ უყვარს: კაცი, ქალი.
და რომ ჩემს თქმულს არ უწოდოთ
ცრუობა და მონაგონი,
მოწმეთ მომყავს სამტრედია
ჭაგანი და მათხოჯ ხონი;
საკუთარ მრევლს ისე უცქერს
როგორც ბატკანს რუხი მგელი
მაგრამ ამით არ დავსძრახავო:
ასეთია ყველა მღვდელი.
რა თქმა უნდა მრევლიც აქებს
თავისს მოძღვარს სულიერსა,
რადგან იცის: არ დაინდობს
არც მონაზონს, არცა ბერსა.
სამსახურის დაფასებას
ითხოვს ჩვენგან სამართალი
მაჭანკლებში ვფიცავ გამჩენს,
სამსონ ხუცესს არ ყავს ცალი.
„ერთობა“ და „დრო ახალი“
მუდამ პირზე აკერია,
მისი გვარი პოლიციის
ქალალდებზეც აწერია.

ჯოჯოხეთის მაშალა.

—

ფოთი. ფოთიდან გვატყობინებენ, რომ იაკობ ფანცხავას საშინლათ მოშივებია ქუთაისში*) აბა შიმშილი კარგი რომ არ არის ყველამ იცის, იაკობსაც უფრენია ქალალდი ფოთის მამებთან არიქა მიშველეთო. 24 საათის განმავლობაში ფოთის „პაპაშებს“ გადაუწყვეტიათ მიეცეს იაკობს შიმშილის მოსაკლავათ ათასი მანათი მისი წარსული მოღვაწეობისთვის. ფოთელები ტალახში იხრჩობიან, შიმშილით კვდებიან და „პაპაშები“ კი იაკობს აძლებენ. აფსუს დროებავ!

წერილი ამხანაგთან.

ამხანაგო ლევანტი!

თუ ძმა ხარ ერთ საქმეს დაგავალებ და ნუ დაგეზარება მისი შესრულება. ქალაქში ხარ და გაზეთებს იცნობ. მიდი ერთი იმ მამაცხონებულ რედაქციასთან და უთხარი მიაქციოს ყურადღება ქარელის სადგურის გასაჭირს. მოსამსახურეები ძლიერ დიდს უსამართლობას ჩადიან, ძმაო. ისე ვერაფერი გაუგზავნია კაცს, რომ ერთი-ორი მანეთი ჴედმეტი არ შეაგლიჯონ. და თუ კრინტი დასძარი, ვაი შენი ბრალი. ცემას გაკმარებენ თუ? აი მაგალითად ამ წინაზე ერთმა კაცმა ბარგი მოიტანა გასაგზავნი. სადგურის თანაშემწე ა-ნმა მეტის გადახდა მოუნდომა, მაგრამ იმან არ მისცა. მაშინ სადგურის თანაშემწემ სცემა იმ კაცს, უარი რატომ მითხარიო. ეგეთები ძლიერ ხშირათ ხდება ხოლმე. ხალხი რომ თუ ძლიერ არ გაუჭირდა, აქედან აღარაფერს არ აგზავნის და მიაქვს ან გოროში, ან გომში და იქიდან აგზავნიან.

ესრე რომ, როგორც არის კიდევ ყველაფერს ვერ აგიწერ, იგრე რომ როგორც შენ იცოდე, იგრე ყველაფერი კარგათ დააწერიე და ისე ჩააგდებიე გაზეთში. ძლიერ გასაჭირში არიან აქაური ატპრავიტელ-პალუჩატელები და კაცს ვერაფერი ღონე უხმარია. თუ ძმა ხარ მალე ჩააგდებიე.

შენი დომენტი.

---

* * *

ვით წერონი ცაშია
ისე ჩვენს ქუჩაშია...
მწკვრივათ, გაჭიმულები,
დადიან პატრულები.
გაჩერდით! არ გაინძრეთ!
არც აქეთ და არც იქეთ...
მოდის გამჩხრეკელები:
მაღლა ასწით ხელები!!!
მაღლა ხელ-აპყრობილი
სდგეხარ კეთილ-შობილი!
თითქო ღმერთს ევედრები,
ისე შეაჩერდები.
შეგჩხრეკ-შემოგჩხრეკავენ
პირშიც ჩაგიხედავენ...
რო ვერ ნახვენ ვერაფერს
მაშინ შეგიშვებენ ხელს.
თუ ნახეს მაუზერი
ცემა აგყვება ბევრი...
თუ გიპოვეს ყუმბარა,
მაშინ ცემაც არ კმარა...
თუ არა გაქვს პასპორტი
უჩასტკაში წამოდი.

№.

სიზმრის ახსნა

„მეველე“ ნახო გოროდოვოის როლს ასრულებდეს და დატვირთულ ბავშვს უმოწყალოთ სცემდეს — ახდება! მეტადრე ქუთაისის ქუჩებში.

პოლიცია ნახო შენზე ზრუნავდეს ავი ნიშანია. გემდუროდეს კარგია.

ცენზორი ნახო გაზეთისათვის ზრუნავდეს ცუდია; ნახო გიჯავრდებოდეს კარგი ნიშანია.

ქუთაისის ციხე ნახო—ცუდია, სახადს მოასწავებს, ზესტაფონი ნახო—პროვოკაციას შეხვდები.

ანარქისტი ნახო—წერილს მიიღებ.

დამპალი საჭმელი ნახო—ახდება, რკინის გზის საავადმყოფოს ნიშნავს.

სიბინძურე ნახო—ცუდია, „ქარიშხალი“ იცის.

გაცინებული ცხენი ნახო—არ დაიჯერო, სიცილის ნიჭი მხოლოდ ადამიანებისთვის მიუცია ღმერთს.

ნადირობა ნახო, ცუდია, ეგზეკუცია იცის. ხშირად ტეროორს მოასწავებს.

---

*) სწორეთ პრიყვი ხალხი ყოფილა ქუთათურები! განა ამიტომ გაიმეტეს ფოთელებმა იაკობი, რომ ქუთათურებს შიმშილით მოეკლათ? აფსუს იაკობ! რედ.

კორესპონდენტი ნახო მართალს ამბობდეს არ დაიჯერო, შეუძლებელი მოვლენაა.

მღვდელი ნახო, ავია. სიკვდილს მოასწავებს.

კუზო ნახო, არ ვარგა, ფულებ· დაგეკარგება.

მატარებელში თავისუფლად იჯდე, გადასახლებას ნიშნავს.

გველი ნახო; ცუდია, ახალ საარჩევნო კანონს ნიშნავს.

დვორნიკი ნახო, ძველი წეს·წყობილების განახლებას ნიშნავს.

ბათუმის მიკიტნები.

ბათუმის მიკიტნები ვართ
დუნიაზე ქებულიო
წელ-მსხვილი და ღიპ დამდგარი.
კისერ ჩასუქებულიო.
აღარ ვარჩევთ ხსნილს და მარხვას
არცა ზა·თარ ზაფხულსაო.
აბა მითხარ რა მოგვაწყენს
მუდამ ლხინში ჩაფლულსაო.
ოხრათა გვაქვს სუკის მწვადი,
ზუთხი, გინდა დოშიაო;
ნოქრებიც ვერ გვაწუხებენ
ამ კურთხეულ დროშიაო;
კახური თუ სვირის ღვინო
არ გვაშრება პირზედაო,
ხან პრისტავსაც ვაყლუნქვიებთ
გვარგებს გასაჭირზედაო.
გაფიცვა და ბოიკოტი
საგრძნობელათ გაძვირდაო
მუშტარს შუაღამემდე ვილებთ
ვახდევინებთ რაც გვინდაო.
მადლი ღმერთს და პოლიციას
რომ ამ დროს შევესწარითო
თორემ თავვი წაგვილებდა
ჩვენი დუქან დავთარითო.
ნოქრებს ბედი გაუცრუვდათ
მოიღუნენ წელშიაო
ჟურნალ-გაზეთების ნაცვლათ
ბანქო შერჩათ ხელშიაო.
მაშ გვებრძოლეთ! ჩვენ გახლავართ
მიკიტნები ქებულიო
წელში მსხვილი, ღიპ დამდგარი
კისერ ჩასუქებულიო,

Mo—ur.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

კავკასია.

ბათომი. ბათომის ქართულ ეკლესიაზე რომელსაც ათი წელიწადია რაც აშენებენ ქართველი მორწმუნეები, ნათელი სხივი შენიშნეს. მღვდლები ამბობენ ეს წმინდანი იყო, გადმოვიდა და რა ნახა ჯერ კედლის მეტი არაფერია დანგრეული, ძლიერ გაჯავრდაო. რომელი წმინდანი იყო მღვდლებს ვერ უცვნიათ.



გმირთა ბრძოლა

აბასთუმანი. ადგილობრივმა ექიმებმა ახალი და უებარი საშვალება გამოიგონეს კუჭის გასაწმენდათ. გამოგონება ხიბლავს ადამიანს თავისი სიმარტივით და რადიკალური მოქმედებით და როგორც ყოველგვარი გენიოსური გამოგონება უბრალო კავშირზეა დამყარებული. მოგეხსენებათ რა მჭიდრო ერთობა სუფევს ჯიბესა და კუჭს შორის. თუ პირველი სამსეა, მეორეც სამსე იქნება, გასწმინდეთ პირველი გაიწმინდება მეორე. და აი ჩვენმა ექიმებმაც სწორეთ აქ, ამ ბოროტების წყაროს მიაპყრეს მთელი თავისი ყურადღება, რომ ძირიანათ აღმოიფხვრას შედეგი. საოცარი ხელოვნებით დაუწმინდეს ჯიბეები საექიმოთ მოსულ კლიენტებს და კუჭიც რა თქმა უნდა დაიწმინდება.

ლეხაური. ვასაძის სულის მოსახსენებლათ ჩვენებურმა ქირისუფლებმა და ცეცხლ-თაყვანის მცემლებმა ხუთი მოსახლე კაცის ოჯახობა შესწირეს მსხვერპლათ.

ქუთაისი. ჩვენს ციხეში სახადი სენი გაჩნდა და ამიტომ ადმინისტრაციას გადაუწყვეტია ყველა პოლიტიკურ დამნაშავეებს ქუთაისის გუბერნიიდან აქ მოუყაროს თავი.

ყვირილა. ამ დროში აღარც ყვირილი გიშველის და აღარც გაჩუმება. ვილაც ყაძახებმა მატარებელს პეტარდა დაუდვეს. გასკდა. ატყდა. აიკლეს. დაძარცვეს. დააწიოკეს. გააჩერეს და გაჩხრიკეს. დამნაშავე ვერ აღმოაჩინეს, რადგან ყველანი დამნაშავე იყვნენ.

ფოთი. ბატებზე სასტიკი დევნაა გამართული გოროდოვოებს მოსვენება არა აქვთ.

მიხაილოვი. დღეს ბოქაულთან არ ჩამოსულა ცნობილი ქვიშხეთელი ნემსაძე. არ იციან რა მიზეზია. შეუძლებელია გასანთავისუფლებელი არავინ ყოლოდა, რადგან თითო უდანაშაულოს ყოველ დღე იჭერენ.

ხონი. გაიხსნა პროგიმნაზია. მასწავლებლებათ მიიღებიან ყველანი ვინც კი ფედერალისტობას მისდევენ. თხოვნები საკუთარ ხელში უნდა ჩააბარონ პროგიმნაზიის გამგეს.

ბათუმი. ბათუმის მუშები ძლიერ აღელვა ალ. თუ—ძის მოქმედებამ. მან მიატოვა პროლეტართა ბანაკი. მიზეზი ჯერ არ იციან, თუმცა ეჭვებით მის პარტიზანულ „გამოსვლას“ დამზღვევ საზოგადოებიდან პრემიის მიღებასთან აკავშირებენ.

გორი. საარჩევნო კომპანიისათვის დიდ მზადებაში არიან ადგილობრივი პარტიები. არის ერთი შეხლა-შემოხლა მაგრამ აზრებისა კი არა, ხშირათ მუშტებისა ძლი-

ერი ვაჭართა პარტია აქტიურ ბოიკოტს უცხადებს სათათბიროს.

ცნობილი სოციალ-შავ-რაზმელი გიგო ფ—შვილი თავის კანდიდატურას აყენებს სახელმწიფო დუმის დეპუტატობაზე და იმედი აქვს, რომ გავა...

რუსეთი.

პეტერბურგი. რუსთა კავშირში განხეთქილებამ იჩინა თავი. ახალი ხულიგანური ფრაქცია არსდება. უბედურობის თავიდან ასაცილებლათ განზრახულია 13 აგვისტოს პარაკლისი გადაიხადონ ვოსტორგოვმა და ილიოდორემ.

სააგენტოს ცნობების მიხედვით სამარაში ხოლერით ავათ გამხდარა სულ 143 კაცი აქედან მომკვდარა 167.

მოსავალს გვარიანი პირი უწანს ევროპის რუსეთის 40 გუბერნიაში, კარგი პირი 25 გუბერნიაში, ხოლო შავი პირი ყველა გუბერნიებში.

მოსკოვი. აქაური შავ-რაზმელები დიდის აღტაცებით მოელიან „შავ-ჭირს“, რომელსაც მიანდვეს მემარცხნე პარტიების გაწმენდა.

უცხოეთი.

დარმშტადტი. საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე თავმჯდომარეთ „დაშნაკცაკანი“ აირჩიეს.

კაზა-ბლანკა. საფრანგეთის რაზმი დახმარებას სთხოვს სამხედრო მინისტრს. ხშირი შეტაკება ხდება.

ტოკიო. კორეის დაკარგული იმპერატორის ნაშთი მიკადოს გვირგვინში იპოვეს. მთავრობამ იმპერატორი წმინდანათ გამოაცხადა.

კარტოზინა. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა შვიდ ევროპელი მისიონერი დაიჭირეს და შეპამეს. ევროპიელებმა ბარბაროსობის მოსასპობათ მთელი ქალაქი ცეცხლს მისცეს და გალავანს გარეთ არავის უშვებენ:

ცეტინიე ინგლისის იმპერატორმა ინახულა ჩერნოგორიის იმპერატორი ნიკოლოზ I მონარქები სიყვარულით მიეგებენ ერთმანეთს. ედვარდმა აყვავება უსურვა ჩერნოგორის ძლიერ ფლოტს, რომელიც ერთი ნავისა და ექვსი ნიჩბისაგან შესდგება.

სტამბოლი სამზღვარზე გადასულ ოსმალეთის რაზმს სომხების აკლება ჰქონდა განზრახული, მაგრამ შეცდომით სპარსელების სოფელი აიკლო. გამოძიება სწარმოებს.

გაბგა. მესამე კომისიის მეოთხე პოდკომისიამ მიიღო ანგლო გერმანელთა წინადადება, რომლის ძალითაც მებრძოლ მხარეებს ნება ეძლევათ ტყვეებს არაფერი აჭამონ.

გაბგა. სამშვიდობო კომისია ძლიერ მადლიერია ფრანგების ჯარის მოქმედებისა და მშვიდობიანობის დასამყარებლით თავის მხრივ ურჩევს მას რაც შეიძლება მეტი ჯარი გადასხას მაროკოში და რაც შეიძლება სასტიკათ მოეპყრას ადგილობრივ მცხოვრებთ.

შკიცბერგენი. აქეთ მოვიდა ცნობილი და სახელ განთქმული მოსკოვის ადმირალი დუბასოვი. სამი თვეა პოლიუსის მახლობლათ დაეძებს გაუყინავ ნავთ საყუდელს. ჯერ-ჯერობით ასეთი ნავთსადგური ვერსად აღმოაჩინეს. რამოდენიმე მხლებელს ტვინი გაეყინა თავში იმ ზომამდე დიდი სიცივეები სდგას. ადმირალი იმან იხსნა, რომ სქელი შუბლის კანი ჰქონია. დაშავებულებს სპირტით არჩენენ, რადგან ეს სითხე დიდ სიცივეებს უძლებს და არ იყინება.

უცხო სიტყვების ახსნა.

(იხილე „შუამავალი“ № 4)

მაიაშვილი—„ოტსტავნოი დეისტვიტელნი სტატსკი რევოლიუციონერი“, რომელიც დიდი მოლვაწეობის შემდეგ განსვენებას მიეცა და შავი ქვის ჭამას შეუდგა. ჭამს და ვერ ძღება! ხანდახან ლიტერატორობას ეწევა. ხან საზოგადო ასპარეზზე გამოდის სამოღვაწეოთ, მაგრამ საუბედუროთ მუდამ აშავებენ. შეიძლება წელს გაუღიმოს ბედმა და დუმაში გაძვრეს. თუ დუმაში გაძვრა შავი ქვის ჭამას ალბათ უკლებს.

მატარებელი—მატარებელი სხვა და სხვა გვარია: რუსეთის მატარებელი გაცილებით უფრო კარგია ევროპისაზე, რადგან ასჯერ მეტ ხალხს იტევს. ევროპის მატარებელში მხოლოდ სკამზე შეიძლება ჯდომა, ვაგონები წმინდა და განიერია, ჩვენ მატარებელში სადაც გინდა იქ დაჯდები, სახურავზე, იატაკზე, ერთი მეორეს შეაჯდები და სხვა

მანეთი— ყველას თავსატეხი საგანი.

მამა მამა ორგვარია: ერთი მამა ქვია იმ კაცს, რომელსაც შვილი ყავს, მეორე იმ კაცს რომელსაც შვილი არ ყავს, მაგრამ შვილის მაგიერ ქალაქი ყავს შვილათ, ქალაქის სამმართველოს აზის. პირველი ზრუნავს თავის შვილისთვის, ხოლო მეორე ქალაქისთვის. პირველის მზრუნველობა გამოიხატება შვილის აღზრდაში, მეორეს ქალაქის გახვრაში. პირველი ჯურის მამებში უპირველესი ალაგი უჭირავს ცნობილ მეცნიერ ფ. გოგიჩაიშვილს, ხოლო მეორეში თფილისის ქალაქის მამებს. თუმცა საზოგადოთ ყველა ქალაქების მამები ზრუნავენ ქალაქის გახვრაში, მაგრამ თფილისის მამებს-კი პირველი ალაგი უნდა მივცეთ. ჩვენი მამები მარტო ქალაქის გაველურებასა და გახვრას კი არ ცთილობენ? ისინი ცთილობენ ამასთანავე მზრუნველობა გაუწიონ... მშვენიერ არსებათ. ოჰ! ნეტარებავ!

„ჯამაგირის მომატება
„დათოს“ გორზე სეირნობა;
ტანცაობა, ოხუნჯობა
ხვევნა-კოცნა ქეიფობა“

მაქსიმენ—ჩვენი დროის წმინდანი. „ძმობის“ უფროსი; თანაშემწე წმინდა სპირიდონი, რომელმაც ერთხელ ადიდო სადგისი და განრისხებული შეახო ლოყებსა ასოთ-ამწყობისასა.

მათრახი—ბუზების ასაფრენი იარაღი.

მანიაკი—გიჟი, ე. ი. პავლე აკობია.

მიხაილოვო—ძილი. ძილის შემდეგ ჩხირ-კედელაობა.

მიმიკა—სიტყვის თავისუფლება.

მიქარვა—საპოლემიკო წერილების წერა.

მილიონი – პატარა ღმერთი.

მიზეზი—ადვილათ ხელ-წამოსაკრავი საშუალება ყოველივე ავაზაკობის გასამართლებლათ.

მეხუზლა—მეხუზლა=ლაღიძე; ლაღიძე=მეხუზლა. საზოგადოთ ნიშნავს შეერთებას შეკავშირებას, ერთი კანტორის მეორეზე ჯვრის დაწერას.

მეცნიერება—მეცნიერება სხვა-და-სხვა დარგისაა, მხოლოდ ყველაზე უფრო ახალი-შვილების კეთების მეცნიერებაა. თუ არ გჯერათ კითხეთ ფილოსოფიის დოქტორს.

მეცნიერი—ფილოსოფიის დოქტორი, რომელმაც ზემო აღნიშნულ მეცნიერებას საფუძველი დაუდვა.

მეგრელი—მეგრელი სხვა-და-სხვაგვარია: „შეგინებული“ (ჩვენებურათ შეგინებული) და „შეუგინებელი“ (შეუგინებელი) „შეგინებული“ მეგრელი „ერთობის“ კაცია, ხოლო „შეუგინებელი“ კი ცხენის ქურდი.

მნიეი—ხუცების მაჩანჩალა.

მონა—რუსეთის მოქალაქე.

მეძებარი—პოლიციის აგენტი.

მეწყერი—საზღვარი ძველსა და ახალ წეს-წყობილების შორის.

მთავარი—ხუცების მტერი.

მთვრალი—რუსის გლეხი.

მილი – სიბინძურით სავსე წყლის საყვანი მილი თფილისელების კუჭის გასაწმენდათ.

მონაზონი—ბერების ამხანაგი.

მონასტერი ბერ-მონაზონთა საყუდელი

მორგვი— გასუქებული ვაჭარი.

მოსართავი—გლეხთა შესაკაზმი მასალა.

მოტაცება—პარტიული ბრძოლა.

მოტყუება – შანტაჟისტური მოღვაწეობა

მოღალატე—გულით მეგობარი

მოჩვენება – 1 ოქტომბრის მანიფესტი

მოძღვარი—ეშმაკის მოციქული.

მოწოდება—პაგრომების წინასწარი აგიტაცია.

მოჯამაგირე—სახრავი მასალა.

მსაჯული—ჯალათი.

მუშა—ყველას სალაპარაკო საგანი.

მუხრუჭი—პოლიტიკური ლაგამი.

მუსიკა—ტყვიების ზუზუნი;

მუშტი—პოლიტიკური სალამი.

მუცელი—უძირო ქვევრი.

მუჭი—გლეხების პურის საწყავი.

ირეთელი.

(შემდეგი იქნება)

წერილი „შუამავლის“ რედაქტორს.

ბ-ნო რედაქტორო! შენი სიყმის ჭირიმე, გვიშველე რამე, თორემ ლამის ამ დამშეულმა მემამულეებმა დაგვჭამონ. ცალქალამანიძეებს მოშივნიათ გენაცვათ და ერთი აურ-ზაური და დავიდარაბა აგვიტეხეს. რა ვიცით, შენი ჭირიმე, პაპა თქვენებზე და ჩვენ პაპის პაპაზე ოთხი წლის ლალა დარჩენილა და ახლა თქვენ უნდა გადაგვიხადოთო. დალოცვილმა და მადლიანმა პოლიციამც სამართალი გადაჭრა და ოცი კოდი პური გადაგვაწყვიტა ცალ-ქალამანიძეების სასარგებლოთ. ვაი ჩვენი ბრალი! დამშეული წურბელებივით ვინ გინდა ჩვენ არ მოგვესიოს.

შენ ქრისტეს ვენაცვალე, რედაქტორო, შუამდგომლობა გაგვიწიე როგორმე თფილისის ღუბენატორთან, რომ მაგან მაინც დაგვიფაროს. ამბობენ მოწყალე, გულ-ჩვილი და სამართლიანი მსაჯულიაო. გაისარჯე, გვიშუამდგომლე შენი ჭირიმე თორემ ლამის ცოცხლათ დაგვჭამონ დამშეულმა ცალ-ქალამანიძეებმა.

ხელს ვაწერთ: თქვენებიანთ მიხაი, პეტრეი და ბართლომეი.

„შუამავლის“ ფოსტა

ს. კორ'ეთი—ბ-ნ კ ა ყ ს. თქვენ სრულიად უსაფუძვლოთ და დაუმსახურებლათ გვაწერთ თქვენი შეურაცხყოფის სურვილს. იქონიეთ სახეში, რომ შეურაცხყოფის მისაყენებლათ არ დაგვიარსებია ჩვენი გაზეთი და დაგვერწმუნეთ იმაშიაც, რომ შეურაცხყოფას თავისივე მოქმედება აყენებს ადამიანს. როდესაც ჩვენ ვისიმე უმსგავსო საქციელს ვააშკარავებთ, მაგალითისათვის აიღეთ თუნდა დ. მიქელაძის მიერ ქუჩაში ბავშვის გალახვა, ეს სულაც არ არის ჩვენ ან ბ-ნი მეველის შეურაცხყოფის მიყენების მაჩვენებელი. პირ-იქით შეურაცხყოფას მას მისი მოქმედება აყენებს. ახლა ვგონებ გაიგეთ რაშია საქმე და იმედია როცა თქვენ დანაშაული ბრძანდებით გაზეთს არ დაემდურებით.

აბასთუმანი—უ ჩ ხ ო ბ ე ლ ს. სამწუხაროა, რომ ვერ გაგირჩევიათ სატირა და ლანძღვა ერთმანეთისაგან. თქვენი ლექსის უკანასკნელი ტაეპის გაზეთში მოთავსება პირდაპირ უზრდელობა იქნებოდა და ნურას უკაცრავათ, თუ თქვენი ასეთი სურვილი რედაქციამ ვერ დააკმაყოფილა.

ბათუმი—გ ო—შ ი ა ს. ბათუმის ქალაქის თავზე ხშირათ გვიხდება წერა და თქვენს ლექსსაც დავბეჭდავდით რომ ვარგოდეს შინაარსისა და ლექსთა წყობის მხრივ.

ქუთაისი—ხ ვ ლ ი კ ს. თქვენს წერილს შეიძლება კერძოობა შევსწამოთ. ეს ჩვეულებრივი ქუთათური პორციებია:

ყვავი—ნიორის წვენით,
კატა—ტყემლის წვენით,
ვირთხა—ბროწეულის წვენით, ყველა სასტუმროში მოიპოება და თქვენ რაღა მაინცა და მაინც ერთი მათგანი ამოიღეთ ნიშანში?

საგანგებო დაცვის წესები

— ქალბატონო! ანგარიში გამისწორეთ.

— თავს გვანებებ ნატაშა?

— დიახ! ქალბატონო.

— საკვირველია რა მოხდა, რატომ მიდიხარ!

— არ შემიძლია თქვენთან სამსახური, ბატონმა ალყა შემომარტყა.

— როგორ? როდის?

აი გიამბობთ... წინათ ამბობდა, რომ რაღაც ექს... ექსპორპილიაციის გიზამო, ... გუშინ, იმ დროს, როცა ტანზე გახდილი ვიყავი, და ჩულქებს ვიხდიდი შემოვიდა ჩემთან ოთახში და მითხრა:

— ნატაშა! მე მოვედი შენთან, რომ კონხვისკაცია გიქნა, რადგან ეხლა საგანგებო დაცვის წესებიაო.

რედაქტორ-გამომცემელი

ს. კეკელიძე.

შემოწირულებანი.

თფილისის რესტორანებისა და განსაკუთრებით კი ბილლიარდების პატრონებს **დღეში თვრამეტი შაური** დახმარება აღუთქვამთ თფილისში განზრახულ უნივერსიტეტის სასარგებლოთ. თუ აღმასრულებელ-დამფუძნებელი კომისია უნივერსიტეტის დაარსების საქმეს დააჩქარებს.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

დავეძებ გიმოცდილ ნოქარს;

პ ი რ ო ბ ე ბ ი: უპარტიობა; უკავშირობა, უსწავლელობა, უანგარობა, უამხანაგობა; გარდა ამისა: მორიდება, მორჩილება და ოჯახური საქმეები. ეს უკანასკნელი მთავარი მუხლია, ვინაიდან დუქანში მუშაობის გათავების შემდეგ ჩემ საკუთარ ოჯახში მოუწევს საქმიანობა ჯამაგირი ჩემ სინდისზე იყოს. ადრესი: ქიათურა. ბაზრის დეპუტატს. აქ ყველა მიცნობს.

ვსთხოვ სხვა გაზეთებსაც, გადაბეჭდონ ეს ცნობა. გ. ტ—ლი.



გუჩკოვი—გენაცვალე დუბროვინო! მაგ უტვინო თავში! დაჰკა! დაჰკა! შენიჭირიმე! ხი! ხი! ხი! ხი! იქნება დააქვაო ეს წყეული.

მილიუკოვი—შენიჭირიმე დუბროვინჯან! ნელა! სულ ნუ გაანადგურებ ცოტა ჩვენც დაგვიტოვე.

დუბროვინი—(ოფლს იწმენდს) ეჰ! ეჰ! ლამის წავიქცე ისე დავიღალე და ამას მაინც არაფერი ეშველა.

ელექტრომბეჭდავი ამხანაგობა ,,შრომა'' მიხეილის პროსპექტი, № 65,